შპს ტელეკომპანია ,,იმპერიას“ ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება
(მოწვევის ოფერტა)

ქ. ახალციხე

2021 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ახალციხის ზონაში მოქმედი ადგილობრივი ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთვაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში ,,აქცეპტანტი").

ახალციხის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T(NE 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPGE4 (N-246-ISO/IEC144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T(COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3,Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SDარხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15მგბტ/წმ–ისა;

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. # 30ა

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათალისწინებულ მისამართამდე

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი(HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 ახალციხის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ–ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით(2.15 მგბტ/წმ1075დღგ–ს ჩათვლით).

3. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველითვის თნხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2021 წლის 01ოქტომბრიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე– 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

მაია იველაშვილი

ტელეკომპანია ,,იმპერიას"

გენერალური დირექტორი

TV-9